# პარადოქსი: მაკვანეთელები მედიასთან კარიერის გაჩერების აუცილებლობაზე აკეთებენ აქცენტს, ხოლო პოლიციასთან საუბარში მხოლოდ იმას მოითხოვენ, მასალის გასატანად არ გამოიყენონ მძიმეწონიანი მანქანები



25 ოქტომბერს, სოფელ მაკვანეთში აქცია გაიმართა, აქციის მონაწილეებმა აქ მოქმედ კარიერზე მომუშავე მანქანები-სთვის გზის გადაკეტვა სცადეს, თუმცა, ამაოდ, რადგან ინერტული მასალის მომპოვებლებმა უკვე იცოდნენ ამის შესახებ და ჩვენი იქ ყოფნისას გზაზე მხოლოდ ერთი მანქანა გამოჩნდა, რომელმაც ცენტრ-ალური გზიდან მარჯვნივ გად-ახვევით თავი აარიდა აქციის მონაწილეებს.

სანამ ეს მოხდებოდა, მაკვანეთელი **ამირან გორდელაძე** შეეცადა ჟურნალისტებისგან გა-ეგო რას ნიშნავს გარემოს დაცვა – ბუნებაზე ზრუნვას თუ მის ძარცვასა და გაპარტახებას:

*„იქნება მე ვერ ვხვდები და კაი იქნება თუ განმიმარტავთ, რას ნიშნავს გარემოს დაცვა და მისი ზედამხედველობის სამსახური - ბუნების შენარჩ-უნებას, მასზე ზრუნვას თუ მის ძარცვასა და მთლიანად გაპ-არტახებას. წყალი მოგვისპეს, ჟანგბადი მოგვისპეს, გზა მოგვისპეს, სახლები და ყანები გაგვინადგურეს, დედა უტირეს ყველაფერს... ესენი კი იმას აკონტროლებენ, ზედმეტი არ წაიღონ სადმე, ფალსიფიცირება არ მოხდეს, თავიანთ ჯიბეებში რომ გაჩნდეს ფული. თავიანთ კაპიტალს იცავენ მა-ვინი, სხვა ყველა და ყველაფერი ერთ ადგილზე ჰკი-დიათ.*

*მართლა მაინტერესებს და გამარკვიეთ, დღეს რას იცავს და რას მალევს სახელმწიფო? ხალხი რაცხა მი-სით იღლ-იტება და იწიკვება და ძლივს გააქვს სული. კიდევ კაი, რომ უმეტესობა წასულია საშო-ვარზე. ჩამოვიდნენო რომ გაიძ-ხიან, მართლა რომ ჩა-მოვიდნენ, ხომ გაწყდა მშიერი დიდიანპატარიანა. ავინი კიდო, ჩვენს ზურგზე ცხოვრ-ობს, აი მთავ-რობაა თუ ჩემი ფეხებია... დახურონ ბიძია ეს კარიერი, შევწუხდით აღარ შეგვიძლია“.*

**მანანა ბაბილოძემ,** რომელიც მშვიდი ქალბატონი ჩანს, გვითხრა, რომ შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო, ერთხელ იმ-დენად გამწარდა, მძიმეწონიანი მანქანის მძღოლს თავის გათ-ორთქოლებითაც კი დაემუქრა: *„ახალი გუბერნატორი რომ მოვიდა, მაშინ შეაჩერეს მუშაობა, გვითხრეს, პოლიციამ იცის, ყველამ იცის მავინი აღარ იმუშავებენო. რამდენიმე დღის განმავლობაში მართლაც არ უმუშავიათ, მერე კი მთლად დიდი მანქანები მოიყვანეს, რა ამბავია, გზა გზად აღარვარგა, ბალანას ვერ გამოუშვებ გარეთ იმხ-ელა ღრმულებია ჭალაში? ამ ზაფხულში ისეთი სიმწარე ვნახეთ, ერთი წვეთი წყალი არ მქონდა ჭაში, მანქანა გავაჩერე, ქვა დავიკავე და ამით გავითორთქოლებ თავსმეთქი, შოფერს ვუთხარი. რა მინდოდა შოფერთან, მაგრამ ნერვები ველარ მოვთოკე“.*

სოფლის ყოფილი აგრონომი **ცირა ვასაძე** ამბობს, რომ ლიცენზიაში ინერტული მასა-ლის მომპოვებლებს ლიცენ-ზიაში წითელმთა უწერიათ და კატეგორიულად მოითხოვს მათ სოფლიდან წაბრძანებას:

*„მე ამ სოფლის აგრონომი ვიყავი მთელი ცხოვრების მანძილზე. ბუჟუს აქეთა ტერიტორია არის მაკვანეთი, ბუჟუჯს იქეთა კი - წითელმთა და კვი-რიკეთი. წითელმთა უწერიათ ლიცენზიაში, წითე-ლმთის არ არის აქეთა ტერიტორია. წაბ-რძანდნენ და იარონ იქ. დაგვანებონ თავი მაკვანეთელებს. არაფერი საქმე ჩვენთან მაგათ არ აქვთ.“* მოკლედ, მაკვანეთელთა თქმით, კარიერის ამოქმედების შემდეგ სოფლის ჭებში დაშრა წყალი, უწყლობის გამო ხმება ხეხილი და ყველა სახის მცენარეულობა; მძიმეწონიანი მანქანების გამოისობით მწყობრიდან გამოდის სოფლის ცენტრალური და შიდა გზები, ნადგურდება ჭალები და იბზარება კაპიტალური საცხოვრებელი სახლები.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ასეა, მაგრამ იცით რა არის პარადოქსი? მაკვანათელები მედიასთან მდინარე ბჟუჟზე მოქმედი კარიერის გაჩერების აუცილებლობაზე აკეთებენ აქცენტს, ხოლო პოლიციასთან საუბარში მხოლოდ იმას მოითხოვენ, რომ ინერტული მასალის გასატანად მომპოვებლებმა არ გამოიყენონ მძიმეწონიანი (55-60 ტონა) მანქანები(?!)


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი   გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 41 (10286) 31 ოქტომბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.



უფასო პოლიტიკური რეკლამა


# კახა კალაძე - მეორე ტურში, როცა არჩევანი გასაკეთებელია ძალადობასა და თავისუფლებას შორის, აუცილებლად გავიმარჯვებთ



დარწმუნებულები ვართ, რომ მეორე ტურში, როცა არჩევანი გასაკეთებელია ძალადობასა და თავისუფლებას შორის, აუცილებლად გავიმარჯვებთ, – ამის შესახებ პარტია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

*„არჩევნების შედეგში ჩვენი ამომრჩევლის ნაკლები მობილიზაციის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც განვიხილავთ, რომ პარტიამ არ წარადგინა საკუთარი კანდიდატი და დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერამ შეასუსტა ჩვენი ამომრჩევლების მობილიზაციის პროცესი. დარწმუნებულები ვართ, რომ მეორე ტურში, როცა ნათლად გამოიკვეთა ორი პო-ლუსი, როცა არჩევანი გასაკ-ეთებელია სიცრუესა და სიმ-ართლეს, ძალადობასა და თავ-ისუფლებას შორის, მოხდება მაქსიმალური კონცენტრაცია და ჩვენ ერთად, აუცილებლად გავიმარჯვებთ საპრეზიდენტო არჩევნებში. რაც მთავარია, ერ-თად აუცილებლად დავძლევთ ყველა გამოწვევას“*, - განაცხადა კახა კალაძემ.

# არჩევნების საბოლოო შედეგები

28 ოქტომბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მიხედვით „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილმა კანდიდატმა **სალომე ზურაბიშვილმა** ამომრჩეველთა 38,64% (615 403 ხმა), ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა **გრიგოლ ვაშაძემ** –37,74 (601 175 ხმა) მიიღო; „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა **დავით ბაქრაძემ** 10,97% (174 699 ხმა).

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე **თამარ ჟვანიამ** გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, 28 ოქტომბრის 20:00 საათის მდგომარეობით, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1 637 956-მა ამომრჩეველმა, რაც საერთო რაოდენობის 46,74 პროცენტია. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 3 518 877-ს, რომელშიც ასევე შედიოდნენ საზღვარგარეთ არჩევნებისთვის რეგისტრირებული პირები, მათ შორის 14 795 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საზღვარგარეთ რეგისტრირებული მოქალაქე.




საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან ორი კვირის ვადაში, კვირა დღეს ჩატარდება. საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თამარ ჟვანიას განმარტებით, არჩვენების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების მაქსიმალური ვადა, კანონის მიხედვით, არჩევნების თარიღიდან 20 დღეა.

# არჩევნები დამთავრდა, არჩევნები გრძელდება...

## რა დაუჯდება ქვეყანას მეორე ტურის ჩატარება?

საპრეზიდენტო არჩევნები დამთავრდა, საპრეზიდენტო არჩევნები გრძელდება... პირველმა ტურმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებული ვერ გამოავლინა. რა დაუჯდება მეორე ტურის ჩატარება ამდენი არჩევან-არადანით გაბიაბრუებულ, პოლიტიკურად ბეც, ეკონომიკურად სხვისი – ხან ამერიკელის, ხან რუსის, ხანაც თურქის მოიმედე, სოციალურად დაძაბუნებულ ქვეყანას?

მმართველი პარტიის მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ვერ შეაგროვა არჩევნებში მონაწილე ელექტორატის საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი, რაც, უპირველესად, გაერთიანებული თუ გაუერთიანებელი ოპოზიციის „დამსახურებაა“ ოპონენტისთვის გაწეული აქამდე გაუგონარი შავი პიარით, ლანძღვით, გინებით... ამ შედეგში, თავისი სისუსტით, როგორც ოპონენტები ხშირად მოიხსენიებენ, უნიათობით, გარკვეული წვლილი მიუძღვის ჯერ კოჰაბიტაციის ამკვიატებელ, შემდეგ კი ხალხის იმედისგადამწურველ „ქართულ-ოცნებასაც“.



როგორც ჩანს, საქართველოში ამომრჩეველთა გარკვეულ ნაწილს მართლა ამნეზია სჭირს, ან მოენატრა ის დანაშაულებრივი რეჟიმი, რომლის განმახორციელებელი თუ არა, გულშემატკივარი მაინც


▶▶▶ გვ-2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# არჩევნები დამთავრდა, არჩევნები გრძელდება...

## რა დაუჯდება ქვეყანას მეორე ტურის ჩატარება?

იყო. აბა, რით უნდა აიხსნას გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის **გრიგოლ ვაშაძის** მეორე ტურში გასვლა?!

„ნაცი“ „ნაცია“ ევროპულიც და უევროპოც. „ევროპული საქართველოს“ ნირწამხდარი, 10%-იანი კანდიდატის **დავით ბაქრაძის** განცხადებამ, რომ იგი მეორე ტურში მხარს დაუჭერს და იმუშავებს გაერთიანებული ოპოზიციის, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სასარგებლოდ, დაამტკიცა, რომ ამ პარტიის ნდობა არანაირად არ შეიძლება. დავით ბაქრაძემ გაამართლა თავისი ზედმეტსახელი „ბაცილა“.

არჩევნებში კრახი განიცადა ისეთმა სერიოზულმა პოლიტიკოსმა, როგორიცაა **დავით უსუფაშვილი,** რაც, ჩვენი აზრით, იმის ბრალია, რომ ის მაინც ასოცირდება რესპუბლიკური პარტიასთან, რომლის რეიტინგი დღეს საქართველოში თითქმის ნულის ტოლია. ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობა ალბათ, არ ფლობს ინფორმაციას, რომ უსუფაშვილმა დატოვა ეს პარტია და ახალი შექმნა.

რაც შეეხება შალვა **ნათელაშვილს,** როგორც ჩანს, მხოლოდ კარგი ორატორობა არ არის საკმარისი საპრეზიდენტო არჩევნების მოსაგებად.

დანარჩენი პარტიები და დამ-უკიდებელი კანდიდატები კი უნდა მიხვდნენ, რომ თუ 1-2-პროცენტიან ზღვარს ვერ გადაახტებიან, არ უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. უბრალოდ, სირცხვილია.

რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვით **თემურ შაშიაშვილის** მისამართით, რომელიც იყო და რჩება საქართველოში ერთ-ერთ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსად.

სირცხვილია ისიც, რომ 3,5-მილიონიან ქვეყანაში პრეზიდენტობას 25 კანდიდატი ეცილებოდეს ერთმანეთს.

მაშ ასე, ზურაბიშვილი თუ ვაშაძე? დაველოდოთ მეორე ტურს.

ისე უკვე ამბობენ, რომ არც ერთ ვარიანტში საქართველოს მომავალი პრეზიდენტი კაცი ვერ იქნება.

**კოკა თელია.**

# არჩევნების შედეგები ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში

1. მიხეილ ანთაძე 25 ხმა (0,08%);
2. დავით ბაქრაძე 4288 ხმა (13,49%);
4. ვახტანგ გაბუნია 33 ხმა (0,1%);
5. გრიგოლ ვაშაძე 10160 ხმა ((31,97%);
10. შალვა ნათელაშვილი 1222 ხმა (3,85%);
13. ზვიად მეხატიშვილი 11 ხმა (0,03%);
17. გიორგი ლილუაშვილი 16 ხმა (0,05%);
18. აკაკი ასათიანი 37 ხმა (0,12%);
21. კახა კუკავა 422 ხმა (1,33%);
22. ოთარ მეუნარგია 8 ხმა (0,03%);
23. ირაკლი გორგაძე 9 ხმა (0,3%);
25. დავით უსუფაშვილი 512 ხმა (1,61%);
27. ზვიად ბაღდავაძე 10 ხმა (0,03%);
28. მიხეილ სალუაშვილი 47 ხმა (0, 15%);
30. ზვიად იაშვილი 6 ხმა (0,02%);
31. თამარ ცხორაგაული 105 ხმა (0,33%);
35. გელა ხუციშვილი 16 ხმა (0,05%);
36. ზურაბ ჯაფარიძე 245 ხმა (0,77%);
40. ლევან ჩხეიძე 41 ხმა (0,13%);
48. სალომე ზურაბიშვილი 14046 ხმა (44,2%);
49. ბესარიონ თედიაშვილი 58 ხმა (0,18%);
51. გიორგი ანდრიაძე 210 ხმა (0,66%);
58. კახაბერ ჭიჭინაძე 29 ხმა (0,09%);
62. ვლადიმერ ნონიკაშვილი 6 (0,02%)
65. თეიმურაზ შაშიაშვილი 218 ხმა (0,69%);

ოზურგეთის საარჩევნო ოლქში დამოუკიდებელმა კანდიდატმა **სალომე ზურაბიშვილმა** გაიმარჯვა (ხმების 44,2%); ნაციონალების კანდიდატმა **გრიგოლ ვაშაძემ** საერთო ხმების 31,97 % მიიღო; ევროპული საქართველოს კანდიდატმა **დავით ბაქრაძემ** –13,49%; **შალვა ნათელაშვილმა** –3,85%; **დავით უსუფაშვილმა** –1,61%; **კახა კუკავამ** –1,33%; **თემურ შანშიაშვილმა** -0,69%; **გიორგი ანდრიაძემ** –0,66%.

პარადოქსია, რომ გურიის ექსგუბერნატორმა **ირაკლი გორგაძემ,** რომელიც მიხეილ სააკაშვილმა 2005 წელს ქ. ოზურგეთში, წყალდიდობისას გამოჩენილი მამაცობისთვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა, მხოლოდ 9 ხმა მიიღო(?!).

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ირაკლი კობახიძე - რომან გოცირიძეს: ტყუილებით ცოტათი გახვედით ფონს, მეორე ადგილით გადახვედით მეორე ტურში, თუმცა, წინ არის მეორე ტური და მოდით, დაველოდოთ მეორე ტურს




*„ნუ მოერიდებით საგნობრივ დისკუსიას და სიმართლეს გაუსწორეთ თვალი, სიმართლე კი ეს არის -სიღარიბე 350 ათასით შემცირდა მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, 800 ათასი დაგვრჩა და 0-მდე უნდა დავიყვანოთ ეს მაჩვენებელი. ეს იქნება ჩვენი ამოცანა მომდევნო წლების განმავლობაში“,-* ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს, რომან გოცირიძეს გამოეხმაურა და სიღარიბის მაჩვენებელთან დაკავშირებით, სტატისტიკური მონაცემების მოყვანა სთხოვა.

*„2012 წელს გაყალბდა ბოლოს არჩევნები და იმანაც არ გიშველათ, როგორც გახსოვთ. ერთი კითხვა მაქვს თქვენთან, როგორც ეკონომისტთან, სიღარიბე რამდენი იყო 2012 წელს, რიცხვებში რომ გვითხრათ და რამდენია ახლა, რიცხვებში თუ გაქვთ ეს მონაცემები, სტატისტიკური ინფორმაცია.*

*გეტყვით, რატომ გკითხეთ - გეტყვით, რა იყო მდგომარეობა 2012 წელს და რა არის ახლა სიღარიბის კუთხით. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა 1 მლნ 150 ათასი ადამიანი თქვენს დროს, 2012 წელს, ახლა მდგომარეობა არის 800 ათასი ადამიანი. ჩვენ მოვხერხეთ სიღარიბის შემცირება 350 ათასი ადამიანით, თუმცა, ეს, ბუნებრივია, არ არის საკმარისი და გვჭირდება რამდენიმე წელი იმისთვის, რომ ესეც 0-მდე შემცირდეს. 350 ათასი ადამიანით შევამცირეთ სიღარიბე მაშინ, როდესაც თქვენ, 9 წელიწადში, მხოლოდ და მხოლოდ 150 ათასი ადამიანით შეამცირეთ სიღარიბე. ეს არის მსოფლიო ბანკის სტატისტიკა“,-* განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე თქმით, 2012-2018 წლები მმართველ გუნდს წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული პრობლემებიდან ნაწილობრივ ამოსასვლელად დასჭირდა.

*„მსოფლიო ბანკის სტატისტიკის თანახმად, 2004-დან 2011 წლის ჩათვლით, სიღარიბე გაიზარდა საქართველოში. მსოფლიო ბანკი ამბობს ამას. 2012 წელს იყო უკვე, ეს გარდამავალი პერიოდი იყო, ზრდა და ამან გამოიწვია პოზიტიური ბალანსი საბოლოო ჯამში, რაც შეეხება 2012-2018 წლებში, ეს წლები დაგვჭირდა ჩვენ იმისთვის, რომ თქვენს მიერ და-ტოვებული პრობლემებიდან ნაწილობრივ ამოვსულიყავით. 1 მლნ 150 ათასი შემცირდა 800 ათასამდე, თუმცა, ამით ჩვენ ბედნიერი და კმაყოფილი, ბუნებრივია, არ ვართ. ჩვენი ამოცანაა, საბოლოოდ, არის ამ 800 ათასის დაყვანაც 0-მდე. ეს არის ჩვენი ამოცანა, თუმცა, 350 ათასით სიღარიბის შემცირება, თავ-ისთავად, არის შთამბეჭდავი მაჩ-ვენებელი. ეს არის ის, რაც თქვენ მოახერხეთ იმ პირობებში, როდესაც იყო ძალიან მაღალი მაჩვენებელი ეკონომიკური ზრდის მთელ რეგ-იონში და დღეს ვითარება როგორია რეგიონში, კარგად მოგე-ხსენებათ. საგნობრივ დისკუსიაში თქვენ ვერ შემოდიხართ, მაშინვე გადადიხართ მანიპულაციაზე 20-14-თან შედარებით რა იყო და ასე შემდეგ. ნუ მოერიდებით საგნობრივ დისკუსიას და სიმართლეს გაუს-წორეთ თვალი. სიმართლე კი ეს არის - 350 ათასით შემცირდა მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, 800 ათასი დაგვრჩა და 0-მდე უნდა დავიყვანოთ ეს მაჩვენებელი. ეს იქნება ჩვენი ამოცანა მომდევნო წლების განმ-ავლობაში. ბიძინა ივანიშვილის ხე-ლმძღვანელობით შემცირდა სიღარიბე 350 ათასით“,-* განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

*„დღეს თქვით ორი ციფრი და ორივე ტყუილი - ერთი მილიონ 200, მეორე - 63. ორივე ტყუილი იყო. ასეთი ტყუილებით ცოტათი გახვედით ფონს, მეორე ადგილით გადახვედით მეორე ტურში, თუმცა, წინ არის მეორე ტური და მოდით, დაველოდოთ მეორე ტურს“,-* განაცხადა პარლამენტის თავმ-ჯდომარემ.

**„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახური**

# „თუ სახელმწიფოს ექნება თანამედროვე სკოლები, სახელმწიფოც იქნება თანამედროვე“



**ალიონი.** ქ. ოზურგეთში, №1 სა-ჯარო სკოლაში სკოლის კორპუსების რეაბილიტ-აციის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

პროექტის პრეზენტაცია წარმოადგინა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ამ სკოლის კურსდამთავრებულმა არჩილ თალაკვაძემ.

*„ორი თვის წინ მე თქვენ დავპირდით, რომ თქვენი შვილები ისწავლიდნენ უკეთეს სკოლაში. სავარუდოდ იანვრიდან დაიწყება პირველი სამშენებლო სამუშაოები. 2019 წლის ბოლომდე, იმ ადგილას, სადაც ჩვენი სახელოვანი წინაპრები ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ევნატე ნინოშვილი და სხვა სახელოვანი მამულიშვილები, ჩვენ ვაკეთებთ მემორიალურ შენობას, რომელიც იქნება ინოვაციების ცენტრი. აქ განთავსდება კომპიუტერული ლაბორატორია, თანამედროვე ბიბლიოთეკა, შეხვედრების და ტრენინგების სივრცე, მცირე კაფე. ეს იქნება ოზურგეთში ყველაზე პროგრესული შეხვედრების ადგილი.*

*ჩვენი სკოლა 152 წლისაა და მე ვფიქრობ, ჩვენი სკოლის წარსული და მომავალი დავუკა-ვშიროთ ერთმანეთს.*

*თუ სახელმწიფოს ექნება თანამედროვე სკოლები, სახელმწიფოც იქნება თანამედროვე.*

*მხოლოდ კარგი განათლ-ებითა და ნორმალური ჯანდაცვის სისტემით შეგვიძლია ავაშენოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი.*

*შევხდი ექიმებს, შევხდი პედაგოგებს და ვთქვი: რომ თქვენ ემსახურებით ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეს — ესაა მომავალი თაობის ჯანმრთელობა და განათლება. ამი-ტომ თქვენ და თქვენი მოსწავლეები ღირსნი ხართ ასეთ პირობებში იყოთ.*

*მოდით, ერთად გავაგრძელოთ ჩვენი სკოლის ისტორია.*



*პროექტის მიხედვით, რომელიც უნოკლეს დროში მომზადდა, მოხდება შენობების მთლიანი რეკონსტრუქცია, კაპიტალურად განახლდება ორთ-ავე კორპუსის როგორც გარე ფასადი, ისე შიდა ინტერიერი. რეაბილიტაცია სკოლის ახალი კონცეფციის მიხედვით გაკეთდება, რომელიც განათლების სამინისტრომ შეიმუშავა. აქ იქნება თანამედროვე სპორტდარბაზი, გარე მოედანი; განახლდება სკოლის ულამაზესი პარკი, სადაც ახალი ხეები დაირგვება — ეს იქნება კიდევ ერთი სიმბოლო ამ სკოლის განახლებისა“* —განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

## გურიის გუბერნატორი ოზურგეთის საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სკოლამდელი დაწესებულებების კვების ბლოკების, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ინტენსიურ შემოწმებაზე, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაშია დაგეგმილი და პერიოდულად ჩატარდება. ასევე, განიხილეს საბავშვო ბაღებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები.



სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ გუბერნატორის მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ირაკლი სირაძე** და სურსათის უვნებლობის სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი **ნინო შეწირული.**

## სამშენებლო კომპანია "ხიდმშენი" სოფელ დვაბზუში საავტომობილო ხიდის მშენებლობას აგრძელებს

110 მეტრი სიგრძის სახიდე გადასასვლელის მშენებლობა 2013 წელს დაიწყო. მანამდე არსებული ე.წ. დაკიდული ხიდი წყალმა წაიღო და ადგილობრივ მოსახლეობას მოსავლის აღების პრობლემა შეექმნა. მაშინდელმა მოქმედმა გამგებელმა კონსტანტინე შარაშენიძემ ახლი ხიდის მშენებლობა დაიწყო, თუმცა 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ახალი მუნიციპალიტეტის პირობებში ხიდის მშენებლობა შეწყდა.



გამომდინარე იქედან, რომ უხიდობის გამო ადგილობრივ მოსახლეობას სასოფლო სამეურნეო ნაკვეთებთან მისვლა შემოვლითი გზით უწევდა, 2017 წლის თვითმართ-ველობის არჩევნების შემდეგ, არჩეული მერი კონსტანტინე შარაშენიძე ხიდის მშენებლობას აგრძელებს.

მშენებლობის პროცესში გამოყენებულია მეორადი მასალა, 2013 წელს შეძე-ნილი კოჭები, ბურჯები და რიგელები, რომლითაც კაპიტალური ხიდი კეთდება.

## მერიის საფინანსო სამსახურმა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა დაიწყო



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურმა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა დაიწყო.

მერის პირველი მოადგილის **ალექსანდრე სურგულაძისა** და საფინანსო სამსახურის უფროსის, გია **მამაკაიშვილის** ხელმძღვანელობით განიხილება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების 2019 წლის საბიუჯეტო ხარჯები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში 14 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და 3 შპს-ა. ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების დირექტორები მერიის შესაბამის სტრუქტურასთან შრომის ანაზღაურებასთან ერთად საქონლისა და მომსახურების ხარჯებს ათანხმებენ.

## შშმ პირთა საკითხების შემსწავლელი სასათბირო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების შემსწავლელი სათათბირო საბჭოს შეხვედრა გაიმართა.



საბჭოს დღეიდან 7 ახალი წევრი დაემატა შშმ პირთა 3 მშობელი და 4 ბენეფიციარი, რომლებსაც საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით განცხადება ჰქონდათ დაწერილი.

აღნიშნული საბჭო შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის, აუცილებელი პირობების შექმნის საკითხების შესწავლისათვის შეიქმნა.

მორიგი შეხვედრა 1 ნოემბერს გაიმართება.

## მემორანდუმის გაფორმება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში დაიგეგმა

„**OGP**"- ვალდებულებების შესასრულებლად 2018 წლის 19 ოქტემბერს, ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრ -„პროგრესის სახლში" ღია მმართველობა საქართველოს (**OGP**) ფარგლებში, ოზურ-გეთის მუნიციპალიტეტის პარტნიორ უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომა-დგენელთა რიგით მეორე სამუშაო შეხვედრა შედგა.



შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია მ.წ. 19 სექტემბერს პირველ შეხვედრაზე დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შესახებ. მოის-მინეს გურიის ახლგაზრდული რესურცენტრისა და საქართველოს დემოკრატ-იული გა-ნვითარების კავშირის ხელმძღვანელების: **თამარ ღლონტისა** და **ლევან ხინთიბიძის** საინტერესო მოხსენებები, **OGP**-ის მეოთხე სამოქმედო გეგმით აღებ-ული ვალდებულებების მიხედვით, საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებების პრაქტიკული მაგალი-თებისა და არსებული საკა-ნონმდებლო ბაზის შესახებ. საკრებულოს აპარატის უფ-როსმა **ნანა თავდუმაძემ** პარტნიორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი წარმოადგინა.

მემორანდუმის პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება სამ-ოქმედო გეგმაში მონაწილე წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს.

მონაწილეთა ერთობლ-ივი გადაწყვეტილებით მემორანდუმის გაფორმება საქა-რთველოს პარლამენტის ერ-ოვნული ბიბლიოთეკაში და-იგეგმა. დეპარტამენტის დი-რექტორის მოადგილის **გიორგი კილაძის** წინადადების გათვალისწინებით გადაწყდა, რომ მორიგი შეხვედრა ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ოფიციალური წარმომადგენლის დანიშვნისა და მემორანდუმის გაფორმების შემდეგ გაიმართება, სადაც მეორე ეტაპის სამუშაოების შესრულების ანგარიში და მომდევნო ეტაპის დაგეგმვა განიხილება.

# წიგნის სასწაული დღესასწაული მეორე საჯარო სკოლაში

## მეორესკოლელმა „ბოშა“ გოგონამ არჩილ თალაკვაძეს ხელზე უმკითხავა და...

### იხილეთ წინამდებარე სტატიაში





დავესწრებით მეორე საჯარო სკოლაში ღონისძიებას, დავბრუნდებით რედაქციაში და თითქმის ყველა წერილს ვიწყებთ ასე: ეს იყო სასწაული ღონისძიება. აქ არაფერ შუაშია შაბლონი, უბრალოდ, სიმართლეს ვერ ვუქცევთ გვერდს.

რაც შეეხება 26 ოქტომბერს VI-1 კლასის (ხელმძღვანელი **იზო სიხარულიძე**) მიერ აქ გამართულ წიგნის დღესაწაულს, მან ბოლომდე გაამართლა თავისი სახელწოდება „წიგნი სულის უკვდავებაა“.

თუმცა, ეს ღონისძიება 26 ოქტომბერს არ დაწყებულა. რამდენიმე დღით ადრე ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ **თალაკვაძე ლიზი თავართქილაძესა** და ელენე კალანდაძეს ესტუმრა. ბავშვებისათვის საჩუქრად გადაცემული წიგნები ლიზისა და ელენეს თანაკლასელებმა მეორე დღესვე აიტაცეს, ოცდათექვსმეტივემ ერთად წავიკითხოთო, ხელიდან ხელში გადადიოდა თურმე წიგნები...

დეპუტატისა და ბავშვების ოფიციალური დამეგობრება, ვიოლინოს ცოცხალი ჰანგების ფონზე, დერეფანში დაიწყო, საიდანაც საკლასო ოთახში გადაინაცვლა. სწორედ აქ ესაუბრა ბავშვებს არჩილ თალაკვაძე იმ სპეციალური აპლიკაციის კომპიუტერულ და სატელეფონო ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც ბავშვებს შეეძლებათ, თავიანთი წიგნები დაარეგისტრირონ ამ აპლიკაციაში. სხვა ბავშვები დაინახავენ, ვის რა წიგნი აქვს სახლში და გაუცვლიან ერთმანეთს ლიტერატურას.

აპლიკაციური კომპიუტერული პროგრამის სახელწოდების შერჩევა დეპუტატმა ახალდამეგობრებულ მოსწავლეებს მიანდო. არჩილ თალაკვაძის თქმით, აპლიკაციის პრეზენტაცია მალე შედგება.

შემდეგ სკოლის დარბაზის სცენიდან VI-1 კლასის წიგნების მკითხველებმა – **თამარ ასათიანმა, ირაკლი გაგუამ, მარიამ გაბრელიანმა, ნია გუჯაბიძემ, საბა გუჯაბიძემ, ლიზი გორდელაძემ, ლუკა დო-ლიძემ, ნათელა ვასაძემ, ელენე ვა-შალომიშემ, ანა ზაქარეიშვილმა, ლიზი თავართქილაძემ, დაჩი თავაძემ, ნიკოლოზ იობიშვილმა, ელენე კალანდაძემ, სანდრო კეკელიძემ, ვალერი კილაძემ, რომან კილაძემ, მარიამ მათითაიშვილმა, დავით მეგრელაძემ, ანამარია მკურნალიძემ, ანანო ონიანმა, დავით როყვამ, გვანცა რუსიეშვილმა, ნიკოლოზ ტაკიძემ, გიორგი ტაკიძემ, ლიზი ტულუ-შმა, ნინო ურუშაძემ, ანი ქავთარაძემ, ელენე ქართველიშვილმა, მარიამ ქართველიშვილმა, ლიზი ყაზაი-შვი-ლმა, ანი შარაშიძემ, ანანო ჩხაიძემ და ანანო ხინთიბიძემ,** კლასიკოს მწერალთა შემოქმედების ფრაგმენტებით, წარმოაჩინეს, რომ „წიგნი უდიდესი ძალაა“; „უწიგნოდ ადამიანის ცხოვრება ცარიელია“; „წიგნი არა მარტო ჩვენი მეგობარი, არამედ მუდმივი თანამგზავრია“; „ამქვეყნიური სამოთხე სპეტაკ სინდისში და კარგ წიგნებშია“; „წიგნი ის მეგობარია, რომელიც არასოდეს გიღალატებს“.

მაღალი სასცენო ხელოვნება გამოავლინა გოგონამ, რომელიც ნ. დუმბაძის „ჩემი ბოშების“ პერსონაჟს განასახიერებდა. მან არჩილ თალაკვაძეს ხელზე უმკითხავა და დამეგობრებულ მოსწავლეებთან ერთად, წარმატებები უწინასწარმეტყველა.

როგორც არჩილ თაკალვაძემ თავის გამოსვლაში თქვა, მომავალი თაობისათვის აუცილებელია უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და მათთვის კარგი ხარისხიანი განათლების მიცემა:

*„განათლება და ჯანმრთელობა არის ის ორი ყველაზე მეტი სიმდიდრე, რაც შეიძლება ჩვენს შვილებს მივცეთ. ყველაზე მეტად უნდა დავიხარჯოთ იმისთვის, რომ ისინი ცხოვრობდნენ უსაფრთხო გარემოში, იყვნენ ჯანმრთელები და მათ მიიღონ კარგი, ხარისხიანი განათლება.*

*ჩემი შვილის სკოლაში შემოვიღეთ ტრადიცია: ბავშვები კითხულობენ წიგნებს და როდესაც სწავლასა და კითხვაში კარგი შედეგები აქვთ, ყოველდღიურად იღებენ წინასწარ დაბეჭდილ სიმბოლურ ბილეთებს. ამ ბილეთებს, ასე ვთქვათ, ვალუტას, აგროვებენ და თვის ბოლოს ყიდულობენ წიგნებს, სათამაშოებს და იმ ნივთებს, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია. რასაკვირველია, მშობლები ვაგროვებთ ამ ნივთების ფულს, მაგრამ ბავშვებს აბსოლუტურად აქვთ იმის განცდა, რომ ეს არის მათ მიერ გამომუშავებული და შეძენილი.*

*მე ვფიქრობ, ასეთი ტრადიციები, წახალისების ასეთი ევროპული და ამერიკული სისტემა, რომელსაც მერიტეტის სისტემა ჰქვია და საერთოდ მერიტოკრატია სჭირდება დღეს ჩვენს საზოგადოებას. ვინც მეტს შრომობს, მეტ შედეგს აჩვენებს, წარმატებს თვითონ ქმნის, იმ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მეტი ასპარეზი.*

*უკვე ვთქვი, ვაკეთებთ სპეციალურ აპლიკაციას. ვფიქრობ, გამოვიდე ინიციატივით, რომ როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა მთავრობებმა, რომელთაც მოვუწოდებ პროგრამაში მალე ჩართვისაკენ, გარკვეული წახალისება მიიღონ იმ ბავშვებმა, რომლებსაც ყველაზე მეტი წიგნი ექნება წაკითხული, გაცვლილი და განათხოვრებული. თუ რა წახალისება იქნება, ამაზე ერთად უნდა ვიფიქროთ.*

*დღეს მე ვთხოვე, ზუსტად ამ კლასს, ამ ბავშვებს, რომ მოიფიქრონ ამ პროგრამის სათაური. ის უნდა იყოს ადვილად დასამახსოვრებელი, გურულიც უნდა იყოს, მაკვარანცხიც და კარგიც, რომ პროგრამა გახდეს პოპულარული. გპირდებით, რომ ძალიან მალე ამ აპლიკაციის პრეზენტაცია შედგება სწორედ თქვენს სკოლაში და თქვენს კლასში.*

*მე დავპირდი ამათ, რომ ზუსტად ამ სკოლაში გავაკეთებთ საკალათბურთო მატჩს, ჩამოვიყვან ჩემს მეგობრებს, კალათბურთელებს, ზაზა ფაჩულიასაც ვთხოვ, ანატოლი ბოისასაც და სხვა კალათბურთელებსაც. აქ არიან მოჭადრაკეებიც, ფეხბურთელებიც და მე კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ყველას, მაქსიმალურად ჩართეთ შვილები ფიზიკურ აქტივობაში, სპორტში“.*

არჩილ თალაკვაძემ სხვა ისეთ საკითხებზეც ისაუბრა, რომელიც, ჩვენი აზრით, საინტერესოა არა მხოლოდ ამ სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, არამედ მთელი ოზურგეთის საზოგადოებისათვის:

*„უახლოეს პერიოდში ჩვენ უკვე ვიწყებთ ზვანში ახალი სპორტული ბაზის მშენებლობას, სადაც იქნება ჩოგბურთის ახალი კორტი, ახალი საფეხბურთო სტადიონი, ას-ევე ღია საცურაო აუზი და, რაც მთავარია, რაგბის ბაზა. მგონი, პირ-ველი სპორტული ცენტრი იქნება ოზურგეთში, რომელიც ამდენ სპო-რტულ მიმართულებას გააერთ-იანებს.*

*იანვარში იწყება პრაქტიკულად ხელახალი მშენებლობა ჩვენი ქალაქისათვის ისტორიული პირვ-ელი საჯარო სკოლისა. პირველ სკოლას არ ექნება მხოლოდ ახალი შენობები და ახალი შინაარსი, მოხდება რესტავრაცია და მოეწყობა მემორიალური შენობა, რომელშიც სწავლობდნენ სახელოვანი მამულიშვილები. ამ სკოლაში იქნება ინოვაციების ცენტრი, კომპიუტერული ლაბორატორია, ტრენინგების სივრცე, სარეკრეაციო სივრცე, შეხვედრებისთვის სპეციალური სივრცეებიც იქნება გამოყოფილი, რაც მთავარია, იქნება ტექნოპარკის პროგრამები, სადაც ბავშვებს შეეძლებათ დაეუფლონ ახალ ტექნოლოგიებს.*

*ჩვენ ვცხოვრობთ საოცრად განსხვავებულ, აჩქარებულ დროში, შეიძლება, წარმოდგენაც არ გვქონდეს, თუ როგორი არის ის ახალი სამყარო, რომელსაც სწრაფად უნდა ჩამოვართვათ ხელი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამას ბავშვები შეხვდნენ დღესვე და არა ჩვენს ასაკში, როდესაც უცებ ვერ გადავდივართ იმ პროგრესზე, სიახლეზე, ზოგჯერ ფანტასტიკაზეც კი, რომელიც დღეს ხდება მსოფლიოში.*

*თუნდაც ავიღოთ ევრომასკის მაგალითი, რომელმაც კოსმოსში პრაქტიკულად გაუშვა ყველაზე იაფი რაკეტა, გააყოლა მას ელექტრომობილი და დედამიწა ჩართო უფასო ინტერნეტში. ჩათვალეთ, რომ ეს არის პროექტი, რომელიც სულ მალე ჩვეულებრივ მგზავრებს წაიყვანს კოსმოსში.*

*ოზურგეთელ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ არიან ძლიერები, არიან ევროპელები, ისინი არიან ამერიკელ ბავშვებთან. როცა ჩავლენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ არ არიან ვინმეზე უკან.*



*ამის გარდა, ჩვენ უნდა გავუფრ-თხილდეთ ჩვენს კულტურას, ისტორიას. როდესაც ჩავალთ ევროპაში თუ ამერიკაში, პირველ რიგში, უნდა ვამაყობდეთ ჩვენი ისტორიით და კულტურით, რომელიც შექმნეს ჩვენმა მშობლებმა, ბებიებმა, ბაბუებმა, წინაპრებმა.*

*ჩვენი შემდეგი პროექტი, რასაც მალე დავიწყებთ, იქნება ასკანის ციხის რეაბილიტაცია. გაკეთდება ტურისტული საიტი. თქვენ შეგეძლებათ, თქვენს სტუმრებს აჩვენოთ, თუ რა არის თქვენი ისტორია. როგორ ციხე-სიმაგრეებს აშენებდნენ თქვენი წინაპრები. სხვა პროექტებიც გვაქვს. მალე თეატრის მშენებლობაც დასრულდება, იყო თხოვნა, უფრო მოკლე ვადაში დამთავრდეს. იქ სხვადასხვა სივრცეებიც მოეწყობა კულტურული ცხოვრებისთვის. ასევე, ვფიქრობთ, გაკეთდეს თანამედროვე კინოდარბაზი, ამასაც ძალიან მალე გავაკეთებთ. რაც მთავარია, – პრაქტიკულად შეთანხმებული ვართ მთავრ-ობასთან, კულტურის სამინისტ-როსთან, ნოემბრის დასაწყისში ერთად ჩამოვალთ და ამ ყველაფერს დავათვალიერებთ, – უკვე იწყება ჩვენი ქალაქის ცენტრის რესტავრაცია-განახლება, ისეთი, როგორიც თავის დროზე, „ქართუს“ დაფინანსებით, მოხდა, მაგალითად, სიღნაღში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში“.*

არჩილ თალაკვაძე მეორესკოლელებს დახმარებას დაპირდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაციაში.

*„შევეცდები, მოკლე დროში მოვაგვარო ეს პრობლემა, შევხვდები მინისტრს და ვთხოვ, ტენდერი გა-მოაცხადოს ამ საკითხზე“,* – თქვა დეპუტატმა ღონისძიების შემდეგ საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ **ლელა იმედაშვილთან,** განათლებისა და მეცნიერების პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის უფროს **როზა გოგუაძესთან**, სკოლის დირექტორ **ფატი სიორიძესთან** და VI-1 კლასის ხელმძღვანელ **იზო სიხარულიძესთან** საუბარში.

# საქართველოს და ლიეტუვას თეატრალურ საზოგადოებებს შორის მემორანდუმი გაფორმდა



2018 წლის 23 ოქტომბერს, ლიეტუვაში გაფორმდა თანამშრომლობისა და მეგობრობის მემორანდუმი ლიეტუვასა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებებს შორის. საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას წარმოადგენდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, ბატონი გიორგი გეგეჭკორის ნდობით აღჭურვილი პირი, თეატრალური საზოგადოების გურია-სამეგრელოს განყოფილების და ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი ვასილ ჩიგოგიძე. ლიეტუვას თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელმა, ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა ბატონმა რამუტის რემეიკმა ისაუბრა საქართველოსა და ლიეტვას კეთილმეგობრულ ურთიერთობაზე და ამ ურთიერთობებში ხელოვნების როლზე.

ვასილ ჩიგოგიძემ აღნიშნა ლიეტვას პანევეჟისის მილტინისის თეატრისა და ოზურგეთის თეატრის მეგობრობა და თანამშრომლობის პრეცედენტი, იმედი გამოთქვა, რომ მემორანდუმის შედეგად ორ ქვეყანას შორის შემოქმედებითი თანამშრომლობა გაღრმავდება.

27 ოქტომბერს ბატონები ვასო ჩიგოგიძე და რამუტის რემეიკი ვილნიუსის აკადემიურ დრამატულ თეატრში დაესწრნენ მილტინისის სახელობის თეატრის სპექტაკლს.

წარმოდგენილი იყო ცნობილი უკრაინელი დრამატურგის ნატალია ვოროჟბიტის პოპულარული სპექტაკლი ,,საშა, გაიტანე ნაგავი'', რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები - ლიგიტა კონდროტაიტე, ჯოლიტა სკუკაუსკაიტე-ვაისნიენე და რიმანტას ტერესას.

აღსანიშნავია, მილტინისა და ოზურგეთის თეატრების მეგობრობა-თანამშრომლობის ფარგლებში 2016 წელს ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ პირველ ფესტივალზე ნაჩვენები იყო რეჟისორ ვასო ჩიგოგიძის სპექტაკლი კოპროპდუქტი ,,გამარჯობა, ხალხო'', სადაც ბებიის, თხისა და ექიმის პერსონაჟებს აღნიშნული მსახიობები ანსახიერებენ.

შეხვედრა ლიეტუვაში ორივე მხარისათვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

**ლია კილაძე,**
ოზურგეთის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

# რატომ ამართლებს საზოგადოება ქალზე ძალადობას?

ქართული საზოგადოების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში, თამარ მეფის ქვეყანაში, ქალზე ძალადობა არ არის. ამიტომ, ძალადობის ფაქტების დანახვაც ძნელი ხდება., რადგან ჩვენი ტრადიციითა და წეს-ჩვეულებებით ბუნებრივად მიიჩნევა მამ-აკაცის პრიორიტეტი.

ეს ოჯახიდან იწყება - ბიჭებს მეტის უფლებას აძლევენ, ინტელექტუალების ოჯახშიც კი მხოლოდ ბიჭის უმაღლესი განათლებაა მშო-ბლების პრიორიტეტი. სამაგიეროდ ცრემლების დამალვას ასწავლიან, ბავშვებს სათამაშოებს, ფერებს სქესის მიხედვით ურჩევენ,...

საზოგადოებაც მამაკაცის პრიორიტეტს ეფუძვნება - კვლევების თანახმად, მას ქალზე მეტი ხელფასი აქვს თანაბარ პოზიციაზეც, კაცს ღალატიც ეპატიება... მხარდაჭერ-ი-ლია ლოზუნგი - ქალი ,,კუხნაში'', კაცი პოლიტიკაში, მმართველობაში...

სტერეოტიპი ბევრია, და ეს სტერეოტიპები წარმართავს ჩვენს ცხოვრებას. უთანასწორობის მაგალ-ითები, რომლებიც საზოგადოებას არ მიაჩნია ქალის ჩაგვრად, უამრავია. მოძალადე თანასწორად არ მიიჩნევს მსხვერპლს.

სწორედ ამიტომაა, რომ ოჯახში ძალადობის შედეგად ქალებია ძირითადად დაზარალებული საყვარელი ადამიანის გამო. მეტიც. ხშირად ქალს ქალი, დედამთილი ჩაგრავს ოჯახის არასწორი ტარდიციების დაცვის სურვილით.

ზოგჯერ ძალადობის უამრავი ფორმაა დამალული ოჯახურ ,,სიმყუდროვეში'', რაზედაც საუბარს თავად ოჯახი გაურბის, მეტიც, იყო შემთხვევა, როცა მოძალადეს თავისუფლების აღკვეთა ელოდა და ნაცემმა ქალბატონმა გაიმოიხსნა და ფინანსური ზარალიც ნახა. თუმცა, ძალადობის ფაქტი იქ არ აღმოფხვრილა, მეტიც, მეტი სისასტიკით მეორდება. მსხვერპლი კვლავ დახმარებას ითხოვს, ოღონდ ისე, რომ მოძალადე არ დაისჯოს. ძნელია გა-მოსავალის პოვნა...

ძალადობის ერთ-ერთი მძიმე ფორმაა ფემიციდი, ქალის მკვლელობა დაბადებამდე, შერჩევითი აბორტი.

ეს ყველაფერი თამარ მეფის ქვეყანაში ხდება. დროა თვალი გავუსწოროთ რეალობას, საზოგადოებამ უნდა დაანახოს ნაცემ ქალს, რომ სიცოცხლე გრძელდება..

არსებობს მსხვერპლის დაცვის მექანიზმები - ცხელი ხაზი - გადა-დებელი დახმარების ცენტრი - **112,** სახალხო დამცველი - **1481,** სოც-იალური მომსახურების სააგენტო - **1505.** ტრეფიკინგის, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალ-ადობისას დახმარება **116006.**

ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნება, ცოდნა, საზოგადოების მგრძნობელობა. ჯერ ვაღიაროთ უსამართლობა, შემდეგ ჩავერიოთ ყველა დონეზე. ისე მოძალადის ოჯახში ძალადობა არ შეწყდება, ასეთ ოჯახში კი, ექსპერტთა გამოცდილებით, მომავალი მოძალადე გაიზრდება.

**ლია კილაძე**

# დავით ცეცხლაძის დამაჯერებელი გამარჯვება

## *ითამაშებს თუ არა 9 წლის თენგიზ თოიძე გურიის ჩემპიონატში?*



ჩემპიონები
თენგიზ თოიძე და დავით ცეცხლაძე

19- 25 ოქტომბერს ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში. ჩემპიონატში ჩართულ 12 მონაწილეს შორის 6 ოსტატობის კანდიდატი და 5 პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე იყო, მ.შ დავით ცეცხლაძე, გივი სიამაშვილი, ელგუჯა ურუშაძე. გიგა ქუტიძე, აკაკი გოგუა .ჩემპიონატს თავისებურ ინტერესს აძლევდა ძველი თაობის წარმატებული და ტიტულოვანი მოჭადრაკეების რომან კუტუბიძის, ჯემალ კეჭაყმაძის, ბეჟან ცეცხლაძის იური დიდმანიძის,და გურამ ღლონტის მონაწილეობა. მისასალმებელია ,რომ ჭადრაკს კვლავ დაუბრუნდა მოსწავლეთა შორის მრავალგზის გამარჯვებული 16 წლის თორნიკე მახარაძე და ოსტატობის კანდიდატი შოთა ჯოჯუა.

ჩემპიონატი, რომელსაც ჭადრაკის გულშემატკივრები არ აკლდა, საინტერესოდ წარიმართა. თავიდანვე კარგი სტარტი აიღეს შოთიკო ჯოჯუამ, დავით ცეცხლაძემ, ელგუჯა ურუშაძემ და ჯემალ კეჭაყმაძემ. თუმცა ჯემალმა, რომელმაც ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე, ომის და შეიარაღებულ ძალების ვეტერანთა შორის რეგიონალური საჭადრაკო პირველობა მოიგო, ამჯერად ვერ შეინარჩუნა აღებული ტემპი და საბოლაოდ საშუალო შედეგი აჩვენა. საპრიზო ადგილზე გასვლის შანსებს დიდხანს ინარჩუნებდა ოზურგეთის გასული წლების არაერთგის ჩემპიონები და პრიზიორები აკაკი გოგუა და გივი სიამაშვილი. პირველმა უშუალო კონკურენტთან დაკარგა ქულები, ხოლო მეორემ აუტსაიდერთან. რაც საკმარისი აღმოჩნდა საპრიზო სამეულს მიღმა დარჩენილიყვნენ. ასევე სამეულს მიღმა დარჩა და მეოთხე ადგილზე გავიდა გიგა ქუტიძე, რომელმაც ჩემპიონატის ფინიშზე თითქმის ყველა პარტია მოიგო, მაგრამ სტარტზე მიღებულმა დანაკარგებმა ბოლოში მაინც იჩინა თავი. ძალიან ძლიერად ითამაშა გურიის მოქმედმა ჩემპიონმა **დავით ცეცხლაძემ**, რომელმაც რეკორდული შედეგი აჩვენა, მან ყველა პარტია მოიგო და მუნიციპალიტეტის 2018 წლის ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად მოიპოვა. 12 შესაძლებლობიდან 10,5 ქულით ვიცე-ჩემპიონი **ელგუჯა ურუშაძე** გახდა. ოსტატობის კანდიდატმა **შოთა ჯოჯუამ** კი 10 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. მეოთხე ადგილზე 9,5 ქულით **გიგა ქუტიძე** გავიდა.

დებულებით გათვალისწინებული იყო ჩემპიონატში ჩაგვერთო ოთხი წარმატებული ახალგაზრდა, რომლებიც წინასწარ უნდა გამოვლენილიყო 13-14 წლამდე ასაკის მოსწავლეთა აბსოლუტურ ჩემპიონატში. იმის გამო ,რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ფოთის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობდა, იგი დაგეგმილ ვადებში ვერ ჩატარდა. ამიტომ ორგანიზატორებს აღნიშნული ჩემპიონატის ჩატარება ძირითადი ჩემპიონატის პარალელურად მოუხდა. ჩემპიონატი, რომელშიც 14 წარმატებული მოსწავლე იყო ჩართული, გულშემატკივართა დიდ გარემოცვაში მიმდინარეობდა. გათამაშებულ პარტიათა უმეტესობა გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით, რაც მონაწილეთა მხრიდან კარგად გააზრებულ თამაშზე მეტყველებს. როგორც დიდებში აქაც რეკორდული მაჩვენებელი დაიდო, რომლის ავტორი მონაწილეთა შორის ყველაზე პატარა, 9 წლის **თენგიზ თოიძეა.** მან ყველა პარტია მოიგო და ღირსეული ჩემპიონიც გახდა. მისასალმებელია,რომ **ლუკა ღლონტი** ჭადრაკს კვლავ დაუბრუნდა, მან მხოლოდ თენგიზთან დაკარგა ქულა და დარჩენილი პარტიების მოგებით ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. განაახლა ჭადრაკში მეცადინეობა 12 წლის **მარი ღლონტმაც,** რაც მნიშვნელოვნად აისახა ჩემპიონატში მის მიერ გათამაშებულ შინაარსიან პარტიებში. მარიმ ღირსეულად დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. ჭადრაკის მიმართ სერიოზულ ინტერესს ავლენს **ლუკა ერქომაიშვილი.** რომელმაც თავის კონკურენტები არ დაუთმო ადგილი საუკეთესო ოთხეულში. ამჯერად არ წაუვიდათ თამაში (ხდება ასეც) პერსპექტულ, ნიჭიერ მოჭადრაკეებს: თაკო ასათიანს, ლუკა მახარაძეს, ზურა ანდღულაძეს, ნათია და ლიზი ვასაძეებს, გიორგი და დაჩი ქუტიძეებს. იმედია ისინი სერიოზულად გაანალიზებენ თავიანთ პარტიებს და პრაქტიკაში დაშვებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მეტ დროს დაუთმობენ ჭა-დრაკს.

ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ, მოსწავლეებისა და დიდების თანაბარი წარმომადგენლობით გაიმართა ტურნირი სწრაფ ჭადრაკში (15 წუთიანი რეგლამენტით), რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ძალების მოსინჯვას ძლიერ და გამოცდილ მეტოქეებთან. შეჯიბრება წრიული სისტემით (ორ წრედ), ოთხ დაფაზე ჩატარდა, ანუ ყველა მოსწავლე ორჯერ



(თეთრებით და შავებით) ეთამაშემოდა უფროსი თაობის საუკეთესო ოთხეულის წარმომადგენლებს. ტურნირის მონაწილეებმა 8-8 პარტია ითამაშეს (სულ 32 ). სასიხარულოა, რომ ის მოლოდინი, უფროსები სასტიკად დაამარცხებდნენ მოსწავლეებს არ გამართლდა. მიუხედავად იმისა უფროსმა თაობამ ქულათა ჯამური ჩათვლით მოიგო, მაგრამ პირად ჩათვლაში **თენგიზ** თოიძემ 8 პარტიაში 5 ქულა აიღო, თანაც ისე,რომ ჩემპიონთან და ვიცე-ჩემპიონთან მინი მატჩები არ წაუგია, ასეთი შედეგი არამარტო ოზურგეთის, არამედ გურიის საჭადრაკო ისტორიაშიც ჯერ არ დაფიქსირებულა. კარგად გააზრებული პარტიები ითამაშა **ლუკა ღლონტმაც,** მან უფროსი თაობის ოთხეულთან 3,5 ქულა დააგროვა. **მარი ღლონტმა** და ლუკა ერქომაიშვილმა შესაბამისად 1,5 და 1,0 ქულა.

ჩემპიონატის დახურვა საზეიმო ვითარებაში წარიმართა, წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით, ფულადი პრიზებით და ფასიანი საჩუქრებით.

როგორც შეჯიბრების ორგანიზატორმა **ზურაბ ანდღულაძემ** ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ნოემბერში დაგეგმილია გურიის რიგით 23-ე რეგიონალური ჩემპიონატის ჩატარება, რომელიც ჭადრაკის მოყვარულებში მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. მასში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობა ლიმიტირებულია. ლანჩხუთსა და ჩოხატაურს გამოყოფილი აქვს 3-3 ადგილი,ხოლო ოზურგეთს, როგორც მასპინძელს 4 ადგილი. თუმცა წელს მონაწილეთა რაოდენობის გაზრდის მიზნით ვაპირებთ ფორმატის შეცვლას. განიხილება ასევე ჩემპიონატში პატარების-თენგიზ თოიძის და ლუკა ღლონტის ჩართვის შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ იწვევს ერთი მაინც მოსწავლე-მოჭადრაკის ჩართვას სხვა მუნიციპალიტეტებიდანაც. მანვე აღნიშნა მწვრთნელების- ნინო წიტაიშვილის და ელგუჯა ურუშაძის ნაყოფიერი სამწვრთნელო-მეთოდური მოღვაწეობა, რომელთა აღსაზრდელებმა ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში და ზოგადად საჭადრაკო სეზონში მაღალი სათამაშო კლასი და უნარები გამოავლინეს.

# ახალგაზრდული ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ გიორგი თოხაძეს შეხვედრა მოუწყვეს



**ალიონი**. ოზურგეთის ოლიმპიურ სახლში ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი თოხაძეს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

წარმატებულ მოჭიდავეს გურიის მხარის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, გუბერნატორის მოადგილე ქეთი მოისწრაფეშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წევრები,საკრებულოს დეპუტატები, სპორტული სფეროს და მედიის წარმომადგენლები შეხვდნენ.

17 წლის გიორგი თოხაძემ არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გამართულ რიგით მე-3 ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. გიორგი თოხაძე (51 კგ.) გადამწყვეტ შერკინებაში იაპონელ ვატარუ სასაკისთან დამარცხდა და ვერცხლი მოიპოვა.

ირაკლი და ზურაბ ზურაბიანების აღზრდილი საქართველოს პირველობაზე 2016 წელს ვერცხლის, 2017 წელს ბრინჯაოს, ხოლო 2018 წელს ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

წარმატებული გახდა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, რომელიც მაკედონიაში გაიმართა, საქართველოს ნაკრების წევრმა გიორგი თოხაძემ ფინალში რუსი მეტოქე მოროზოვი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი გა-ხდა.

ახალგაზრდა სპორტსმენს გამარჯვება გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარაიამ, ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, მერის მოადგილე ირაკლი სირაძემ, კულტურის სამსახურის უფროსმა მარინა ჯაფარიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, საკრებულოს დეპუტატმა ლელა საჯაიამ მიულოცეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა გელა შაფაქიძემ გიორგი თოხაძეს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით ჩატარდა.

## სულთათანა

# ლევან თოიძე

## უფრო მეტი სიცოცხლე...



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება საკრებულოს წევრის ლევან თოიძის გარდაცვალებას. ლევანი სრულიად უანგაროდ და საკუთარი ძალებით ძალზედ ღირებულ და მნიშვნელოვან საქმეს: სიყვარულს, მეგობრობას, ურთიერთგატანას, მამულიშვილობას ემსახურებოდა. ჭეშმარიტი ადამიანობა, კაცური ღირსება ბუნებრივად იყო მისი მაღალი სულის განუყოფელი ნაწილი. თანადგომა, სხვებისთვის ბედნიერების შეგრძნების მინიჭება წარმოადგენდა მის ყოველდღიურ ბუნებრივ ყოფას. ის იყო სავსე „ქართული პატიოსნებითა“ დაკეთილშობილებით. იგი იყო საქმის ერთგული და თავდადებული პიროვნება. ლევან თოიძემ თავისი ხანმოკლე ცხოვრება დაუტოვა სამაგალითოდ მომავალ თაობებს. იგი დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ მშობლიურ ოზურგეთს, კოლეგებს, ყველას, ვინც იცნობდა და პატივს სცემდა. ამ მძიმე წუთებში თანავუგრძნობთ და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ახლობლებს. გაცნობებთ, რომ ლევან თოიძის დაკრძალვა შედგება ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, 15 საათზე. გამოსვენება ეპარქიის რეზიდენციიდან.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის ***ლევან თოიძის*** გარდაცვალებას და თანაუგძნობს განსვენებულის ოჯახს.

# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში | | მთათა სისტემა სამხრეთ ამერიკაში | | | | | თვითმფრინავის სარკმელი |
| | | | | | | ქალაქი საფრანგეთში | | | დიახ | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში | | | ნაბიჯი ცეკვაში | რეალის თავდამსხმელი | |
| | | | | | | | | | | | მდინარე საქართველოში | | მუნიც-ტი თბილისში | | | |
| | | | | | | გაუთხოვარი | | ივანიშვილის ვაჟი | | | | | | სოფელი ოზურგეთში | არსაკიძის ზედმეტსახელი | |
| | | | | | | | | დიდი ისტორიული მონაკვეთი | | ქართველი წმინდანი | | ძიუდოს ხალიჩა | | | | |
| | | | | | | აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი | | | | | | | | | | |
| | ჩითილის გამოსაყვანი | | | | სწრაფად მზარდი მკრივმერქნიანი მცენარე | | | ენის დამცავი მეცნიერება | ძველის ანტიპოდი | | | | | | ქოფაკი | |
| | | | ქალის სახელი | | | | | | ტალახით განთქმული კურორტი | | | | მესამე ხმა | | დათვის თათი | |
| | | | ძველებური სპილენძის ჭურჭელი | | | | | | მსახიობი ..... აბაშიძე | | | | | | | |
| | მახვილი | | | | | | სახელმწიფო აფრიკაში | | | | სამხედრო წოდება | | | | | |
| | ვიზუალური პროპაგანდა | | | | | | | | უარყოფა | | მუსიკალური ინსტრუმენტი | | | | | |
| ქართული საესტრადო ანსამბლი | | | | | ქართული ფული | სუფთა წყალი | | | | ჩამონათვალი | | | | | | ლომის მძლევი მწერი |

## № 40-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ანა კალანდაძე; მამაკაცის სახელი — იასე; ძეხვეულის მწარმოებელი ფირმა — ნიკორა; ცვალებადი გულისცემა — არითმია; გარეული ცხოველი — ნიამორი; ტირიფის სახეობის მცენარე — ძეწნა; ციხის ლეიბი — ნარი; პატარა გურულად — პაწა; მუსლიმთა საეკლესიო პირი — იმამი; მეცნიერება ციურ სხეულებზე — ასტრონომია; ადამიანის მსგავსი მაიმუნი — ორანგუტანგი; პატარა მწერი — კოღო; ინდოეთის დედაქალაქი - დელი; ქალაქი თურქეთში — სამსუნგი; არხეინად სიარული — რონინი; ჭიდან წყლის ამოსაღები — ოწინარი; „დიდოსტატის მარჯვენას“ პერსონაჟი — ჭიაბერი; ასოთა ერთობლიობა — ანბანი; სახურავზე ჩამოკიდული ყინული — ლოლუა; ჩიტის მახე — კაკანათი; ჩამონათვალი — სია; საქართველოს ბულბული — აკაკი; ფილა შოკოლადი — კორონა; კავშირი — თუ; ქიმიური ელემენტი — კალა; ქართველი სუმოისტი — ტოჩინოშინი; ქართული მხატვრული ფილმი — ჩიორა; ლექსის ფორმა — შაირი; დოლი — მარულა; დედმამიშვილი — ძმა; ევკალიპტის სახეობა — მანანა; ქალის სახელი — ლამარა; ერთიანი ნარდში — იაქ; შემახილი — — ოი; ძვირფასი ლითონი — ოქრო.

გურიის სამედიცინო და კულტურული ტურიზმი

# გომისმთა



გომისმთა

გომისმთა მდებარეობს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. მდინარე ბჟუჟის ხეობაში.ცნობილია ლეგენდა გომისმთის შესახებ, თურმე პირველად მწყემსი თუმანოვი ავიდა გომისმთაზე განუკურნებელი სენით შეპყრობილ ქალიშვილთან ერთად, რომელიც მალე განიკურნა.

ადრე გომისმთას ნაფაცხვარი ეწოდებოდა, პროფესორ **ქველი ჩხატარაიშვილს** შესწავლილი და აღწერილი აქვს გომისმთა ნაფაცხვარი: ,, გურია-აჭარის ქედზე სამი მთავარი ,,საბალახო მთა‘‘ იყო: ხინო, თაგინური და ზოტიმერია. ამ უკანასკნელის მიდამოები: სომლია, ბაისურა, გორა, კაცისთავიანი, კამბეჩის სარჩობი, ფაფარა,ჯვარიუღვთო, ქორისბუდე, ჩდილა, ზედწეული, დიდვაკე, საყორნია და სხვები, გურიის ერისთავებს ეკუთნოდა. ამ საძოვრებზე გაზაფხულზაფხულობით აჭარიდან ძირითადად ღორჯომის ხეობიდან პირუტყვით გადმოსული მესაქონლეები ერისთავებს ყოველწლიურად - ,,ბალახის ბაჟს‘‘ანუ ,,საბალახეს‘‘ უხდიდნენ ყოველ მეწველ და ძროხასა და კამეჩზე თითო ყველს მეწველ თხებსა და ცხვრებზე კი მათ ათიათავს ე.ი. მეათედს (მშრალი პირუტყვის ძოვებაზე აქ, როგორც ჩანს ბაჟი არ გადაიხდებოდა). აქვე მდებარეობდა გურიელის კუთვნილი საძოვრებიც.

ერთი ძველი ცნობით , ,,ასკანის მთებში‘‘ საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის ძოვებისათვის გურიის მთავარი აჭარლებისაგან იღებდა ,,საბალახოს‘‘ ამ საძოვრებზე მოგებულ ყოველ 100 თიკანსა და კრავზე -1 სულს და გარდა ამისა რამდენიმე ბათმან ყველს.გურიის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1828) ამ ,,საბალახოს‘‘ რუსეთის ხელისუფლება იღებდა,1841 წელს საძოვრებიდან ,,საბალახოდ‘‘ შემოღებულია ორი ცხვარი, ერთი თხა 60 ყველი.

მთაგინურის საძოვრები გურიელსა და შემოქმედის მონასტერს ეკუთნოდა. აქ ზაფხულობით ჭვანისწყალის ხეობის პირუტყვი გამოდიოდა. რუსეთის ხელისუფლებისათვის 1829წელს .წარდგენილ მოხსენებაში ოზურგეთისა და შემოქმედის მოურავი თავადი **ლაზერე ნაკაშიძე** აღნიშნავდა,რომ შემოქმედის მონასტერს ეკუთნოდა გოგიეთის, გომის და ვაკიჯვრის ტყეები,საიდანაც მონასტერს ყოველწლიურად 10 ოყა სანთელი შემოსდიოდა. მონასტერს ეკუთნოდა ,,ნადირობის ბაჟი‘‘-ამ ტყეებში მოკლული ირმის და ღორის ფელიკი. თუ კი შემოქმედში ეპისკოპოსი არ იჯდა, მაშინ ამ გადასახადს გურიელს უხდიდნენ. ამავე მონასტერს (ან მთავარს) ეკუთნოდა ,,მთაგინურის შემოსავალიც პურის, ცხვრისა და ცხვრისაცა‘‘ მოურავის სიტყვით სოფელ გომს გამწესებული არის მებაჟე და როდესაც აჭარის მთიდამ გომს ჩამორეკავს ცხვარს და თხას გასასყიდად, ოცზედ ერთს მთავარის სახლისათვის ავიყვანთ....

.რადგანაც მთა მთაგინური მთავრის სახლის არის, ყოველ წელ თვესა ივნისს აჭარის მცხოვრებნი ხალხი საძოვრად მორეკენ ხარს, ძროხას ცხვარსა და თხას ბალახის ქირათ მთავრის სახლს მიართმევენ ერთ ცხვარს კარვის თავზედ,თითო გადაზელილ ყველს და აგრეთვე თვესა აგვისტოს დამლევს, იმავ მთის მთაგინურს წარვგზავნით მებაჟეებს იმავ ნახირსა ზედ კარვის თავზე, თითო გადაზელილს ბაჟად ართმევენ და როდესაც გარეკენ თავიანთ ნახირსა ,თავის სოფელშიდ, გაყობა ჩვენი მებაჟეები და ამათის ოჯახიდან რამდენიც უღელი ხარი იყო ამ მთაზედ, თითო უღელზე ბათმან პურს მთავრის სახლისათვის გადაახდევინებდნენ.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ, გურიის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით, თურქეთსა და რუსეთს შორის საზღვარი მდინარე ჩოლოქსა და გურია-აჭარის ქედზე დაიდო. მალე საზღვარზე რუსეთის ხელისუფლებამ საკორდონო ხაზი დააწესა კორდონის დანიშნულება იყო: 1. გადამდები სენის თავიდან აცილება; 2.საზღვარზე უნებართოდ მიმოსვლის აღკვეთა; 3.კონტრაბანდის მოსპობა. საკორდონო ხაზზე იდგნენ დონის კაზაკები და გურული მოლაშქრეები .(ე.წ.გურიის მილიცია).საზღვარზე მიმოსვლისათვის საჭირო იყო საგანგებო მოწმობა-,,ბილეთი‘‘, რომელშიაც აღნიშნული იყო საზღვარგარეთ წამსვლელის ვინაობა და მგზავრობის მიზანი (ვაჭრობა, ნათესავის ნახვა და სხვა.)

შემონახულია ქაიხოსრო გურიელის ქვრივის-**ელისაბედის** თხოვნა გურიის დროებითი მმართველისადმი 1836 წლის 25 ივლისისა, მისი მებაჟეებისათვის ბაილეთის მიცემის შესახებ‘‘ მთაგინურის მთაზედ,სადაც გვეკუთვნის ყველის მოსაკრეფლობა და იქიდამ გა დაღმა სოფელს ჭვანას ვაგზავნი ჩემს კაცს გიორგი მექვაბიშვილს, გაბრიელ ბურჭულაძეს და ივანე ბაზიარს, რომლისთვის უმორჩილესად ვთხოვ სასამართლოს (ე.ი. მმართველობას ქ.ჩ.) მისცეს ბილეთი ოცი დღის ვადით.

რუსეთ-თურქეთის საზღვარი დიდხანს დაუზუსტებელი დარჩა, რაც ზოგჯერ სასაზღვრო დავას იწვევდა, განსაკუთრებით ხშირად იყო დავა საძოვრებზე .თურქეთის საზღვრებში მყოფი ქვემო გურიის ორი თემის-ქობულეთისა და ხინოს მოსახლეობას საზაფხულოდ საძოვრად მხოლოდ ხინოს მთის ნაწილი დარჩა. ამ საძოვრების დანარჩენი გურიელებსა და შემოქმედელ აზნაურ იორაშვილებს ეკუთვნოდა. 1836 წელს იორაშვილებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავარმართებელს გენერალ გოლოვინს. იორაშვილები ხინოს მოსახლეობას საძოვრების მიტაცებას უჩიოდნენ, თხოვნაში აღნიშნულია, რომ იორაშვილებს ძველთაგანვე ეკუთნოდათ გოგიეთის მთა (ხინოს მთის კალთები).

ახლანდელი აგარაკი გომისმთა ანუ ნაფაცხვარი, ძველად მთაგინურის ერთერთი საზაფხულო იყო, სახელწოდება ,,ნაფაცხვარი‘‘ დაკავშირულია ფაცხასთან, რომელიც ამ ადგილას მდგარა,შესაძლოა აქ იყო გურიის მებაჟეთა სადგომი, რა ერქვა ამ ადგილს ამის დადგენა არ ხერხდება, ცხადია,რომ ,,ნაფაცხვარი‘‘, მაშინ ეწოდა, როცა იქ ფაცხა აღარ იდგა. 40-50 წლის წინათ ,,ნაფაცხვარის‘‘ ნაცვლად დამკვიდრდა ახალი სახელწოდება გომის მთა. .ნაფაცხვარის მიდამოების ადგილთა სახელწოდებანი ძირითად ქართულია, გარდა რამდენიმესი, რომელიც აჭარის თურქთაგან დაპყობის შემდეგაა შეცვლილი ასეთებია :,,ხარიათაღი‘‘ (ხარის სადგომი), ,,შუა იაილი‘‘, ,, ცხემლის იაილა‘‘ და სხვა (,,იაილა‘‘,,,იაილაღი‘‘ თურქულად საზაფხულო საძოვარს ნიშნავს).

1878 წლამდე, სანამ, აჭარა თურქეთის ბატონობისაგან განთავისულებოდა, ტყვედ გაყიდვის საშიშროების გამო გურია-აჭარის ქედზე, სააგარაკოდ არავინ დადიოდა.მომდევნო ხანებში,როცა ცნობილი გახდა ამ მიდამოების სამკურნალო თვისებები, ნაფაცხარზე გაჩნდა პირველი სააგარაკო სახლები. *გაზეთ* ***,,ცნობის ფურცელ‘‘-ის*** *ცნობით 1902 წელს ნაფაცხვარში 20 -მდე კოხტა სახლია და სამი პატარა დუქანი. მეაგარაკეთა რიცხვი ორას სულს აღემატება‘‘.იმავე წელს დამსვენებელ გიგინეიშვილს მთავრობის ნებათვით გაუმართავს უფასო წარმოდგენა და კონცერტი,უთამაშიათ ვოდევილები წაუკითხავთ ლექსები.გაზეთ* ***,,ზაკავკაზკაის რეჩის‘‘*** *1913 წლის 1 მაისის ნომერში მოთავსებულია წერილი ნაფაცხვარიდან, რომელშიც აღწერილი და შექებულია ამ აგარაკის ადგილმდებარეობა და სამკურნალო თვისებები‘‘*(**ქველი ჩხატარაიშვილი** ,,ნაფაცხვარი-გომის მთა‘‘ 1976 წელი).

ჩემს ბავშვობაში ერთხელ ვიყავი გომისმთაზე. ექიმ ნანა ტრაპაიძის ოჯახმა - მისმა დედამ ნორა მამიდამ წამიყვანა. კარგად მახსოვს ჩალვადრები — ტვირთი და ბავშვები ვისხედით, დიდები ფეხით მიდიოდა, ერთი ცენტრი მახსოვს წრეში ჩა-მორიგებული სახლები ზემოთ იყო პიონერთა ბანაკი, მახსოვს ,,დოსტები‘‘ მოდიოდნენ და მოქონდათ რძის პროდუქტები.

კურორტ გომისმთის განვითარების გეგმაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო მუშაობა .ეროვნული მოძრაობის წლებში, ოზურგეთელთა ერთმა ჯგუფმა: რენო ურუშაძემ ,გურამ ბურჭულაძემ, საყვალა სალუქვაძემ, ოლეგ ჩხა-იძემ, თენგიზ კუნჭულიამ, ნიკოლოზ ბურჭულაძემ, დავით სადრაძემ და სხვებმა გომისმთის კურორტის შესახებ არაერთხელ დაყენეს საკითხი. 1991 წელს კურორტზე მაღალი ძაბვის ხაზი აიყვანეს. ბოლო წლებში კურორზე მატულოს დამსვენებელთა რიცხვი. ხორციელდება გომოსმთის კეთილმწყობის პროექტები.

გომისმთას დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. წლების მანძილზე გომისმთაზე ატარებდა ალპინიადებს ტურისტულ-ალპინისტური კლუბები ,,გურიის მთები‘‘,‘‘ქორბუდე‘‘.

გომისმთა ,როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შედის აჭარა-გურიის ქედის შემადგენლობაში,რომლის მწვერვალების სიმაღლე 2100 მეტრიდან 2755 მეტრამდე.მისთვის დამახასიათებელი კლიმატის გამო, ის ცნობილია, როგორც საზაფხულო სამთო საკურორტო ადგილი ჯერ-ჯერობით. მისი განუმეორებელი ბუნება და 2500 მეტრზე არსებული ჭინჭაოს ტბა განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. გომისმთა შედის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, ქალაქის ცენტრიდან დაშორებულია 30-32 კილომეტრით.

გომისმთა მდიდარია მინერალური წყლებით, მრავალფეროვანი ტყეებით,სამკურნალო კლიმატითა და სხვა.

გომისმთის ტერიტორიაზე გურია-აჭარის მთებში ხინოს მთის ძირში აღმოჩენილია ვულკანური წარმოშების კრატერი. ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმაციით კრატერის მიდამოებში არის უამრავი გამოქვაბული და არსებობს ვარაუდი კასტრული მღვიმეების არსებობის შესახებ. 2010 წელს საფუძველი ჩაეყარა ტრადიციულ დღესასწაულს, ,,გომისმთობას‘‘,რომელის იმართება ყოველი წლის 7 აგვისტოს.

სპეციალისტების ოფიციალური დახასიათება ასეთია:

საკურორტო ადგილი გომის მთა — მთის კლიმატური საკურორტო ადგილი;

ადმინისტაციული მდებარეობა- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;

გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთის ქედის ჩრდილოეთის ფერდობი;

სიმაღლე ზღვის დონიდან — 1900 მეტრი, რელიეფი მთაგორიანი. კლიმატი-საშუალო მთის ( ზედა სარტყელი) ზამთარი ცივი, უხვთოვლიანი, იანვრის საშუალო ტემპერატურა —5 გრადუსი.ზაფხული ზომიერად გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 13 გრადუსი. ნალექების წლიური რაოდენობა 1600-1700მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა -75 %.მზის ნათების ხანგრძლიობა წელიწადში -2000-2060 საათი.

ფლორა-წიწვიანი(ნაძვი,სოჭი) ტყეები,ბუნებრივი; სამკურნალო ფაქტორები:საშუალო მთის ზედა სარტყის ჰავა და წიწვის არომატით გაჯერებული ჰაერი;

მკუნალობის სახეობები:პასიური კლიმატოთერაპია;

სამკურნალო ჩვენებები: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები-ქრონიკული ბრონქიტი,მშრალი ბრონქიტი,მეზენტერიული ბრონქული და პერიფერიული ლიმფური ჯირკვლების ლიმფადენიტი, ქრონიკული ტუპრტკულოზური ანთებითი პროცესების დახურული ფორმები, რაქიტი, მეორადი ანემია, ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები.გომისმთას მომავლის კურორტს უწოდებენ.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

გაზეთ ,,ალიონის‘‘ ფოტოები.



თაგინურის (თაგინაურის) მთა ზღვის დონიდან 2668მ.

# გვიყვარხარ, ბაბუ!!!

თემურ მარშანიშვილი



დასამალი რაა? 24 ოქტომბერს ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში ვასილ მჟავანაძის დიდებული პერსონალური გამოფენა ვნახე და საგაზეთო მასალისთვის შესაბამისი სათაური რომ შემერჩია, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ბოლოს, ვისზეც ვწერ, ისევ იმან მიშველა თავისი ბოლო შედევრით ,,მიყვარხარ, ბაბუ".

შედევრს ნამდვილად ვერ შეველევით, მის სახელწოდებაში გამოყენებულ შემასმენელს კი, მრავლობით რიცხვში გადაყვანილს, უკან გიბრუნებთ, ბატონო ვასო: გვიყვარხარ, ბა-ბუ! მართლა ძლიერ გვიყვარხარ!!! შენ ეს სიყვარული, მარადიული და გაუხუნარი, ვითარცა შენი შემოქმ-ედება, ნამდვილად დაიმსახურე. ოზურგეთელთა სახელით ხუთგზის ბაბუა გეუბნები ამას.

მკითხველო, მკრეხელობაში თუ არ ჩამომართმევ, მოდი, ახლა ასეთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ: წამით, სულ ერთი წამით ოზურგეთის ლაჟვარდოვან სივრცეს მოვაშოროთ ბატონი ვასოს სკულპტურული ნამუშევრები და ისე გადავავლოთ ქალაქს თვალი. გულს რომ გაგვიტეხს და სულს რომ დაგვიწურავს, ისეთ სიცარიელეში აღმოვჩნდებით. ასე არ არის? თუ-რმე, როგორ აცისკროვნებს და აცოცხლებს ოზურგეთს მოქანდაკე **ვასილ მჟავანაძის** ქმნილებები! ახლა, ისევ ერთი წამით, რომელიმე არაოზურგეთელი ხელოვანის ნამუშევრებით შევავსოთ ხსენებული სივრცე. მერწმუნეთ, ვერ იგუებს ოზურგეთი, უცხო სხეულებად გამოჩნდება ყველა, განა იმიტომ, რომ ნაკლებად ფასეულია, არამედ იმიტომ, რომ ოზურ-გეთის სული არ დევს მათში.

მეც კაი ტიპი ვარ, რა დროს ექსპერიმენტებია, როცა კლასიკასთან, გურულ კლასიკასთან გვაქვს საქმე. არ ეყოფა ამას მხოლოდ ამ წერილის ავტორის ,,ბაგაჟი", ამიტომ, აჯობებს საგამოფენო დარბაზში დავბრუნდე და ბატონი ვასოს შემოქმედების შესახებ ჩემზე კომპეტენტური პიროვნებების გამოსვლები ჩავიწერო:

**ავთანდილ თავართქილაძე: მერაბ ბე-რძენიშვილის სახელობის ოზურგე-თის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენრის, გალ-ერეის დირექტორი:** *,,ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ბატონ ვასოს მოვეფეროთ, მოვესიყვარულოთ წარმოვაჩინოთ მისი შემოქმედება. ეს ჩვენი ცენტრის მოვალეობაა, ჩვეულებრივი ამბავია. ვამაყობ, რომ მე მისი მოსწავლე ვიყავი, ის ჩემი მასწავლებელი იყო. ვამაყობ, რომ ასეთი ლამაზი კაცი გვყავს ჩვენს ქალაქში. ის ქმნის საოცარ ესთეტიკას, საოცარ ხელოვნებას, ეს არის პლასტიკის ძალიან რთული ხელოვნება. დიდი ვაჟკაცობა სჭირდება რკინასთან, ქვასთან ბრძოლას და ამას ახერხებს ეს საოცრად რომანტიკული ადამიანი. მე, როგორც მხატვარმა, როგორც პიროვნებამ, შემიძლია ვთქვა ასეთი რამ: ბატონმა ვასომ მოახერხა ქვაში კლასიკისა და იმპრესიონიზმის გაერთიანებინა. ეს არის დიდი მოდერნისტი, მე ასე ვხედავ. არა მხოლოდ ოზურგეთსა და გურიაში, არამედ მთელ საქართველოშიც ბევრი არ გვყავს ასეთი მოქანდაკე.*

*ის, რაც ჩვენ აქ ვერ გამოვფინეთ და განფენილია ქალაქისა თუ სოფ-ლების ექსტერიერებში, ფოტოებით წარმოვადგინეთ.*

*მოქანდაკის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წელს აღვნიშნავთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ვასო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანია. მას უნდა მიეცეს საშუალება, ქალაქს კიდევ ერთი კარგი ქანდაკება აჩუქოს. ვიფიქროთ ამაზე.*

*ბატონო ვასო, კიდევ ერთხელ მოგესალმები, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებ, რომ არსებობთ, ცხოვრობთ, როგორც შემოქმედი ადამიანი და იძლევით ძალიან დიდ ზნეობრივ მაგალითს და გზას. გილოცავ, ბრავო მაესტრო!"*

**თამაზ დარჩია, გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის ხელმძღვანელი:** *,,ამ გამოფენამ გამახსენა ერთი რამე მითოლოგიური თემიდან: კიპროსელმა მეფე პიგმალიონმა, — მოგეხსენებათ, მოქანდაკე იყო, — გამოკვეთა უმშ-ვენიერესი გალათეა, რომელიც მას შეუყვარდა და თხოვა აფროდიტეს, გაეცოცხლებინა ეს ქვაში ნაკვეთი ქმნილება. ქალღმერთმა თხოვნა შეუსრულა. პიგმალიონმა იხილა თავისი ქმნილება დატკბა მისით, შემდეგ გაიფიქრა, ეს ულამაზესი ქმნილება ხომ უნდა გარდაცვლილიყო, სიცოცხლეს გამოსალმებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ეთხოვა ქალღმერთისთვის, ისევ ქვაში დაებრუნებინა გალათეა, რითაც უკვდავყო მისი სილამაზე და მშვენიერება. ასეთია მოქანდაკის ბედი. აქ გალერეაში თქვენ ხედავთ ბატონმა ვასომ რამდენ პორტრეტს სული ჩაუდგა და გააცოცხლა, მე მინდა დიდი სიყვარულით და პატივისცემით მივულოცო მას დღევანდელი დღე და გად-ავცე გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის სპეციალური ჯილდო".*

**ვახტანგ მამეიშვილი, ღვაწლმოსილი ვასკვლავოსანი მხატვარი:** *,,ეს არის ჩვენი უბრალო, პატარა საჩუქარი ვასოსადმი, რომელმაც ჩვენს გალერეაში გააკეთა ქანდაკების პირველი პერსონალური გამოფენა.*

*მე როცა თბილისიდან ჩამოვედი და დავიწყე მუშაობა ოზურგეთში, ბატონმა რენო ურუშაძემ სახელოსნო გამოძიყო. იმ სახელოსნოში ვმუშაობდი და მქონდა ოცნებად გამეხსნა სამხატვრო სკოლა. როცა ამ ფიქრებში ვიყავი, უცებ ვასო და ჯემალ მიმინოშვილი ჩამოვიდნენ თბილისიდან. მოვიდნენ ჩემთან, სახელოსნოში და გადავწყვიტეთ ერთად გვემუშავა. შემდეგ რეზო ჯაშიც შემოგვიერთდა. დიდხანს ვიმუშავეთ ერთად. მერე, არეულობები რომ დაიწყო, დავშ-ორდით ერთმანეთს და ცალ-ცალკე დავიწყეთ მუშაობა. ჩვენი ერთად მუშაობის ეს პერიოდი ჩემთვის იყო დაუვიწყარი ჯერ იმით, რომ ახალგაზრდები ვიყავით და ერთად გვინდოდა გაგვეკეთებინა კარგი საქმეები, მეორეც, ბატონი ვასო, ასეთი წყნარი და თავმდაბალი რომ არის, სხვათა შორის, საოცარი იუმორით დაჯილდოებული კაცია, რეზოც, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე იუმორისტია დასულ სახალისო დღეები გვქონდა, ისე ვქმნიდით ნამუშევრებს. ძალიან გული მწყდება, რომ ჯემალ მიმინოშვილი, ჩვენი მეგობარი, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა, გამოეყო ვასოს, მათი ნამუშევრები შემოქმედებითად ძალიან შედეგიანი და კარგი იყო. ჩვენ ვაპირებთ მომავალში ჯემალის პალიტრის გახსნას, რაღაცა ორიგინალურის, გამოფენას გავუკეთებთ, რეზო ჯაშის გამოფენასაც მოვაწყობთ და ეს იქნება იმ ჩვენი მეგობრობის ამსახველი, ასე ვთქვათ, კედელი აქ, სადაც საფუძველი ჩავუყარეთ ოზურგეთის სამხატვრო სკოლას. ამ სკოლაში დაიზარდნენ და დაფრთიანდნენ შემდ-გომი თაობის მხატვრები, დღევ-ანდელი გალერეის დირექტორი ავთ-ანდილ თავართქილაძე, სხვა მხატვრები, რომლებიც საკმაოდ ცნობილი გახდნენ, ერთი მოსკოვშია მეორე ნიუ-იორკში და ა. შ. ერთი სიტყვით, ოზ-ურგეთში თბილისზე ნაკლები სახვითი ხელ-ოვნების ცენტრი არ არის, გურულებს გვიყვარს ცოტა ტრაბახი, მაგრამ ასეა ეს".*

დედაშვილობის შესახებ არაერთხელ დაწერილა და დაიწერება, მამაშვილობაზე კი — ალბათ, ნაკლებად. არადა, ნახეთ, როგორი იდეალურია ეს გრძნობა ბატონი ვასოსა და თავისი შვილების ურთიერთ-დამოკიდებულებაში:

**ბროლა მჟავანაძე, ფინანსისტი, სარეკლამო კომპანია ,,ქედი სტუდიოს" გენერალური დირექტორი:**

*,,აი, ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ, რაღაცას აკვირდებიან, ფიქრობენ, მამა არ ფიქრობს, მამა რასაც, უკვე წესიერებაა. აი, ეგეთია უბრალოდ და ალბათ, რომ გითხრათსიმართლე, ჩვენც ვასკდებით რაღაც-რაღაცეებს, ჩვენ არ ვართ ამდენად კარგები. აი, ხელშესახები წესიერება, სიყვარული, სიკეთე, ქვა, თქვენ რომ ბრძანეთ, ქვას ვერ მოერევა სხვა რამ, არ არსებობს პლასტიკას, აი ასეთ პლასტიკას ახერ-ხებდე ამ გრძობისა და ემოციის გარეშე. მამა, მე გპირდები, რა, აგერაა ტატო, გეუბნები, თუ ვერ დადგი ქალაქში შიშველი ქანდაკება, სახელოსნოზე დადგი და ვუყურებდთ ბიუსტს. მე ამას გავაკეთები მიტომ, რომ მამასთვის, აი ძალიან მაგარიქ ართული სიტყვა გვაქვს ,,თავისუფ-ლება", გამიგრძელდა, მაგრამ ცოტა რომ დავფიქრდეთ ,,თავის უფლება" , მამა თავისუფალი პიროვნებაა, მამამ იცის მისი უფლება, მისი უფლება განა კანონის მიმართებაში. თავის-უფლება არის სიკეთე, სიყვარული, სულის სიშიშვლე, ტანსაცმელი რასაარ სჭირდება, გაიგეტ? აი, ეს არის მისთვის ყველაზე მთვარი და შენ მთავარი ხარ, სიყვარული, მამა ჩემთვის. მე რომ დღეს სიძურვილი რა არის არვიცი, ეს მართლა შენი დამსახურებაა, მიყვარხარ ძალიან და გილოცავ".*



**აკაკი მჟავანაძე, არქიტექტორი:** *,,ჩემს დასავით ორატორი მე არ ვარ, არც მამას ნიჭი გამომყვა ხელოვნებაში, მე ვიცი, რომ უღრმესი მადლობა უნდა გადაგიხ-ადოთ ყველას, რომ დღეს მობრძანდით, ვიცი, რომ მამაჩემი ემსახურება პერსონალურ გამოფენას, არის ძლიერი მოქანდაკე, რომელიც საბჭოთა სისტემასთან თავისებური დაპირის-პირების გამო ამ პატარაქალაქში დარჩა, მაგრამ შექმნა ყველაზე ლამაზი ხელოვნების ნამუშევრები, მას არ აქვს არც ერთი სტალინი, არც ერთი ლენინი გაკეთებული. მიუხედავად ყველაფერი ამისა, ფილიპე მახარაძის ძეგლის დემონტაჟს დაუპირისპირდა, იმიტომ, რომ უძლიერესი ქართველი მოქანდაკის ნიკოლოზ კანდელაკის ნამუშევრი იყო და განაცხადა პირდაპირ, რომ ასეთ ქანდაკებას, ასეთი დონის შედევრს ჩვენი ქალაქი ვერ ეღირსება და იქნებ შევინარჩუნოთ, დავაწეროთ, რომ არის ცუდი პიროვნება, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ეს არის აგრეთვე დიდი ქართველი მოქანდაკის ნამუშევარი,.მე ვაფასებ მამაჩემს, ნამდვილად მიყვარს და ვამაყობ მისით, კიდევ ერთხელ მადლობა ყველას მობრძანებისთვის".*

აღარ კი არა, ველარ გავყვები მილოცვებისა და სურვილების ლანქერს, რომელიც გალერეაში ამ გამორჩეული ხელოვანის მისამართით დაიძრა, მაგრამ გურიის გუბერნატორის ზურაბ ნასარაიასა და ოზუ-რგეთის მუნიციპალიტეტის მერის კონსტანტინე შარაშენიძის იმედისმომცემი სიტყვები აუცილებლად უნდა გამოვრიყო ცალკე, რადგან, მათი თქმით, იუბილარ ხელოვანს ყველანაირი პირობა შეექმნება ახალი სკულპტურული ქმნილების გამოსა-ქანდაკებლად და ქალაქის სივრცეში განსათავსებლად.

და ბოლოს, როგორც გალაკტიონი ამბობდა, ,,სიცოცხლე წარმავალია, ხელოვნებაა მარადი!.." 100 წლის შემდეგ, როცა ჩვენ ,,დიდ სოფელში" ჩავიკეცებით, ოზურგეთის სამხატვრო გალერეის ზედ ზღურბლთან, ვასო მჟავანაძის სულშთაბერილ, გურული მზით გამთბარ მინიატურას თაობები ჩაუვლიან და ჩაუღიმილებენ: მადლობა, ბაბუ!!!




## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 31 ოქტომბერი ოთხშაბათი | 1 ნოემბერი ხუთშაბათი | 2 ნოემბერი პარასკევი | 3 ნოემბერი შაბათი | 4 ნოემბერი კვირა | 5 ნოემბერი ორშაბათი | 6 ნოემბერი სამშაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე ღრუბელი | მზე ღრუბელი | მზე ღრუბელი | მზე | მზე | მზე ღრუბელი | მზე ღრუბელი |
| +10+21 | +9+19 | +8+19 | +6+19 | +7+19 | +12+20 | +11+19 |